უნივერსიტეტი კრიზისში:

განათლების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პერსპექტივა

ნუცა ერისთავი

ნათია გოგოლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნუცა ერისთავი

ნათია გოგოლაძე

30.06.2025

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს ვინც მხარი დაგვიჭირა და სხვადასხვა ეტაპზე მიიღო მონაწილეობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. კვლევის მიმდინარეობისას მათი ჩართულობა და დახმარება იყო მნიშვნელოვანი, როგორც კვლევის პროცესისთვის, ასევე მისი ხარისხიანად დასრულებისათვის.

ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ განათლების სამაგისტრო სკოლის მთლიან აკადემიურ საზოგადოებას, პროგრამის მოწვეულ ლექტორებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს, ვინც გაგვიზიარა მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღო ფოკუს ჯგუფებში, დააფიქსირა მათი გამოცდილება გულწრფელად და ხელი შეუწყო კვლევისთვის საჭირო გარემოს შექმნას, რაც ჩვენი კვლევის არსებითი ნაწილია.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს და ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს ელენე ჯიბლაძეს, რომლის მხარდაჭერითაც შევძელით კვლევის ხარისხიანად წარმათვა. მისი უკუკავშირი და ყურადღება ჩვენთვის მნიშნველოვანად აღიქმებოდა მთელი პროცესის განმავლობაში.

სარჩევი

აბსტრაქტი 4

შესავალი 5

I თავი: ლიტერატურის მიმოხილვა 9

უნივერსიტეტი კრიზისში: ფუნქცია და ღირებულებები 9

სტუდენტური და აკადემიური პერსონალის გამოცდილება კრიზისის ფონზე 12

აზრის შექმნა გაურკვევლობის პირობებში 15

უნივერსიტეტი როგორც აქტორთა ქსელი 21

კვლევის თეორიული ჩარჩო 26

II თავი: კვლევის მეთოდოლოგია 29

პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა 29

მონაცემთა შეგროვების პროცედურა 30

შერჩევა 33

სანდოობა და ვალიდობა 34

კვლევის ეთიკა 34

III თავი: დიაგნოსტირების ეტაპის შედეგები 35

IV თავი: ინტერვენციის განხორციელების შეფასება 75

პანელური დისკუსიის ანალიზი 80

ინტერვენციის განხორციელების შეზღუდვები 85

V თავი: დასკვნა 86

VI თავი: რეკომენდაციები 89

გამოყენებული ლიტერატურა: 91

დანართები: 93

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში განათლების სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პერსპექტივიდან შევისწავლოთ უნივერსიტეტის როლის აღქმა მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ რეალობის ფონზე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვიკვლევთ, თუ როგორ განსაზღვრავენ სტუდენტები უნივერსიტეტის და საკუთარ როლს ქვეყანაში არსებული ვითარების ფონზე. მათი გამოცდილება და ხედვები წარმოაჩენს უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ისე ღირებულებითი სივრცის ფუნქციონირების საკითხს კრიზისის პირობებებში.

კვლევის პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები, მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები, აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები და აქტორები, რომლებიც არ წარმოადგენენ განათლების სკოლას, მაგრამ აქტიურად არიან ჩართულები საზოგადოებრივი აქტივიზმის პროცესში.

კვლევა განხორციელდა პრაქტიკის კვლევის (action research) დიზანით. დიაგნოსტირების ეტაპზე გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, ხოლო მონაცემების შეგროვების ძირითადი მეთოდი იყო ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტის როლი, კრიზისი, კომუნიკაცია, დისკუსია, კრიზისის გავლენა, ჩართულობა.

შესავალი

ჩვენი სამაგისტრო კვლევა განიხილავს, თუ როგორ აღიქვამენ სტუდენტები უნივერსიტეტს და საკუთარ როლს საუნივერსიტეტო სივრცეში გამწვავებული პოლიტიკური ვითარების ფონზე. კვლევის კონტექსტს წარმოადგენს საქართველოში დღესდღეობით არსებული დაძაბული და რთული პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უნივერსიტეტის ფუნქციასა და მის შიგნით და გარეთ არსებული აქტორების როლს. წარმოიქმნა არსებულ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვები როგორც უნივერსიტეტს შიგნით, ისე მის გარეთ მოქმედ აქტორებს შორის. შესაბამისად, გახდა საჭირო დადგენა, თუ როგორ განიხილავენ უნივერსიტეტის და უნივერსიტეტთან დაკავშირებული აქტორები უნივერსიტეტისა და მათ როლს ქვეყანაში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარების პირობებში.